



გ ა ნ ჩ ი ნ ე ბ ა
საქართველოს სახელით
სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ

საქმე №2ბ/876-11

20 აპრილი 2011 წელი
ქ. თბილისი

**თბილისის სააპელაციო სასამართლოს
სამოქალაქო საქმეთა პალატა**

მოსამართლე – გოდერძი გიორგიშვილი

საქმის განხილვის ფორმა – ზეპირი განხილვის გარეშე

აპელანტი – მაია ისმაილოვი (მოსარჩელე)

წარმომადგენელი – თამარ მეტრეველი

მოწინააღმდეგე მხარეები – ნოტარიუსი თამარ ფიცხელაური, ნოტარიუსი ციალა კაციაშვილი, გულიზარი მგოიანი, ვაზირა ისმაილოვი, ანჟელა ისმაილოვი (მოპასუხეები)

დავის საგანი – სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ დადგენილების ბათილად ცნობა, სამკვიდრო მოწმობის გაცემის დაგაღმდეგება

გასაჩივრებული გადაწყვეტილება – თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა:

თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატის წარმომადგენელია სამოქალაქო საქმე №2ბ/876-11 აპელანტი – მაია ისმაილოვი, მოწინააღმდეგე მხარეები – ნოტარიუსი თამარ ფიცხელაური, ნოტარიუსი ციალა კაციაშვილი, გულიზარი მგოიანი, ვაზირა ისმაილოვი, ანჟელა ისმაილოვი.

საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, თუ მხარის ადგილსამყოფელი უცნობია ან მისთვის სასამართლო უწყების ჩაბარება სხვაგვარად ვერ ხერხდება, სასამართლო უფლებამოსილია გამოიტანოს განჩინება სასამართლო შეტყობინების საჯაროდ გავრცელების შესახებ. სასამართლო შეტყობინება საჯაროდ ვრცელდება შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებით ან დაინტერესებული მხარის მოთხოვნის შემთხვევაში – მისივე ხარჯებით იმ გაზეთში, რომელიც მასობრივადაა გავრცელებული მხარის საცხოვრებელი ადგილის შესაბამის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ ერთეულში, ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებით.

ამ მუხლის პირველი ნაწილით გათვალისწინებულ შემთხვევაში სასამართლო უწყება მხარისათვის ჩაბარებულად ითვლება სასამართლო შეტყობინების შესაბამისი სასამართლოს შენობაში თვალსაჩინო ადგილზე ან ვებგვერდზე განთავსებიდან ან გაზეთში ან ინფორმაციის სხვა საშუალებებში გამოქვეყნებიდან მე-7 დღეს.

მაია ისმაილოვის წარმომადგენლის თამარ მეტრეველის მიერ წარმოდგენილ სააპელაციო საჩივარში და საქმის მასალებში მოწინააღმდეგე მხარის – გულიზარი მგოიანის საცხოვრებელ მისამართად მითითებულია ქ. თბილისი, ვარკეთილი 3 მკრ, კორპუსი 415, ბინა 36.

აღნიშნულ მისამართებზე თბილისის სააპელაციო სასამართლოს მიერ გაგზავნილი სასამართლო უწყება და გზავნილი არ ჩაბარდა მოწინააღმდეგე მხარე – გულიზარი მგოიანს. სასამართლოში დაბრუნებულ გზავნილის ჩაბარების შესახებ შეტყობინების ბარათებზე ჩაუბარებლობის მიზეზად აღნიშნულია, რომ აღნიშნულ მისამართზე ცხოვრობს თეთრაძე.

სააპელაციო პალატა გაეცნო საქმის მასალებს, იმსჯელა საქმის სრულყოფილად, კანონმდებლობით დადგენილ უმოკლეს ვადაში განხილვისა და გაჭიანურების თავიდან აცილების გარემოებებზე, გაითვალისწინა საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 78-ე მუხლით განსაზღვრული დანაწესი და მიიჩნია, რომ მართლზომიერია განსახილველ საქმეში მოწინააღმდეგე მხარედ მითითებულ გულიზარი მგოიანს სააპელაციო საჩივარი და შეტყობინება სასამართლოს მთავარი სხდომის გამართვის თარიღის (2011 წლის 18 მაისი 12:00 საათზე) შესახებ ჩაბარდეს საჯარო შეტყობინების საშუალებით.

სააპელაციო საჩივრის შინაარსი

გასაჩივრებული გადაწყვეტილება - თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება.

მითითებული გადაწყვეტილებით გაუქმდა 2008 წლის 08 აგვისტოს ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ და მოსარჩელე მაია ისმაილოვს მიეკუთვნა ქ. თელავში კვირიკე დიდის ქ. №77-ში მდებარე სამკვიდრო ქონების ორი მესამედი.

აპელანტის მოთხოვნა

თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილების გაუქმება იმ ნაწილში, რომლითაც არ დაკმაყოფილდა მათა ისმაილოვის სარჩელი სადავო სახლის 1/3 ნაწილის მიკუთვნების შესახებ.

სააპელაციო საჩივრის დასაბუთება

პელანტის მითითებით, სასამართლომ გადაწყვეტილების სამოტივაციო ნაწილში განმარტა, რომ მოცემულ შემთხვევაში გამოყენებულ უნდა ყოფილიყო 1964 წლის 26 დეკემბრის საქ. სსკ-ის ნორმები (ძველი რედაქცია). აღნიშნულის გათვალისწინებით, სასამართლომ მიიჩნია, რომ ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ არ გამომდინარეობდა კანონის მოთხოვნებიდან, ვინაიდან სასამართლომ დაადგინა, რომ შაქრო ისმაილოვის გარდაცვალებისას მისი შვილი მათა ისმაილოვი იყო არასრულწლოვანი, რომელიც სარგებლობდა სავალდებულო წილის უფლებით.

ამავე დროს დადგენილ იქნა, რომ შაქრო ისმაილოვს სხვა პირველი რიგის მემკვიდრე, ვისაც შეიძლება ჰქონოდა უფლება სავალდებულო წილზე, გარდაცვალებისას არ ჰყოლია.

გამომდინარე აღნიშნულიდან, სასამართლომ მიიჩნია, რომ არსებობდა ფაქტობრივი და სამართლებრივი საფუძვლები იმისა, რომ საასრჩელო მოთხოვნა უნდა დაკმაყოფილებულიყო მხოლოდ ნაწილობრივ.

გადაწყვეტილების იმ ნაწილში, რომლითაც მათა ისმაილოვს უარი ეთქვა მოთხოვნის დაკმაყოფილებაზე მესაკუთრედ ცნობის სადავო უძრავი ნივთის 1/3 ნაწილში, განმარტებულია: „საქ. სსკ-ის 539-ე მუხლის თანახმად (1964 წლის რედაქცია) მემკვიდრეობით გადასვლა ხდება კანონით ან ანდერძით.

სასამართლო ვერ გაიზიარებს მოსარჩელის წარმომადგენლის მოთხოვნას მთელი სამკვიდროს მოსარჩელისათვის მიკუთვნების თაობაზე, ვინაიდან მამკვიდრებელმა მთელი სამკვიდრო ანდერძით დაუტოვა მხოლოდ და-ძმებს და არა მოსარჩელეს (შვილს) და ასევე მოხდა მთელი სამკვიდროს განაწილება შედგენილი ანდერძით და ანდერძის გარეთ სამკვიდრო ქონება არ დარჩენილა, რომელიც შეიძლებოდა კიდევ გადანაწილებულიყო კანონით მემკვიდრეებს შორის (546-ე მუხლი). გამომდინარე აღნიშნულიდან, სასარჩელო მოთხოვნა ნაწილობრივ უნდა დაკმაყოფილდეს, უნდა გაუქმდეს 2008 წლის 08 აგვისტოს ნოტარიუსის დადგენილება სანოტარო მოქმედების შესრულებაზე უარის თქმის შესახებ და მოსარჩელეს უნდა მიეკუთვნოს ქ.თელავში, კვირიკე დიდის ქ. №77-ში მდებარე სამკვიდრო ქონების 2/3. მოპასუხეებს მოსარჩელის სასარგებლოდ სოლიდარულად დაეკისროთ მოსარჩელის მიერ გადახდილი სახელმწიფო ბაჟის ნაწილი 113.30 ლარის, ადვოკატის მომსახურების თანხის ნაწილი 189.30 ლარის და სასამართლო ხარჯის - 196.60 ლარის გადახდა.

აპელანტის მითითებით, თელავის რაიონული სასამართლოს 2011 წლის 27 იანვრის გადაწყვეტილება სარჩელის დაუკმაყოფილებელ ნაწილში დაუსაბუთებელი და უსაფუძვლოა, რის გამოც იგი უნდა გაუქმდეს და მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდეს შემდეგ გარემოებათა გამო:

აპელანტი არ ხდის სადავოდ, რომ 1991 წლის 04 ივნისს, გარდაცვალებამდე 23 დღით ადრე, შაქრო ისმაილოვმა, ვის სახელზედაც დღემდე ირიცხება სადავო უძრავი სამკვიდრო ნივთი მდებარე ქ.თელავი, კვირიკე დიდის ქ. №77-ში, შეადგინა ანდერძი და-ძმის გულჩორა, მამიკონა და ვაზირა ისმაილოვების სასარგებლოდ. ანდერძისმიერ მემკვიდრეთაგან მხოლოდ ერთმა - მამიკონა ისმაილოვმა მიმართა ქ.თელავის №2 სანოტარო კანტორას სამკვიდროს მიღების შესახებ კანონით დადგენილ ვადაში 1991 წლის 24 დეკემბერს. მართალია, მის განცხადებაში მითითებულია დანარჩენი 2 ანდერძისმიერი მემკვიდრის ვაზირა და გულჩორა ისმაილოვების შესახებ, მაგრამ ამ ორ უკანასკნელს განცხადებით არ მიუმართავს სანოტარო ბიუროსათვის ძმის დანაშთი სამკვიდროს შესახებ და არც ფაქტობრივი ფლობით მიუღიათ იგი.

ამდენად, სასამართლო სხდომაზე ვერც ვაზირა ისმაილოვმა და ვერც გულჩორა ისმაილოვის უფლებამონაცვლემ გულიზარ მგოიანმა, რომელმაც არც შესაგებელი წარმოადგინა და არც სასამართლო სხდომაზე გამოცხადდა, ვერ დაადასტურეს აღნიშნულის შესახებ. ამდენად, ანდერძისმიერ მემკვიდრეთათვის გადასაცემი სამკვიდრო ქონების 1/3-დან, მიღებულ იქნა მხოლოდ მესამედი წილი და კანონისმიერ მემკვიდრეთაგან მიუღებელი დარჩა 1/3 წილის 2/3.

1964 წლის საქ. სსკ-ის 556-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, იმისათვის რომ სამკვიდრო მემკვიდრისა გახდეს, მან უნდა მიიღოს იგი. ამ მუხლის მეორე ნაწილის თანახმად, სამკვიდრო მიღებულად ითვლება, თუ მემკვიდრე ფაქტიურად შეუდგა სამკვიდრო ქონების ფლობას ან მართვას, აგერთვე, როდესაც იგი შეიტანს სანოტარო მოქმედებათა შემსრულებელ ორგანოში სამკვიდროს გახსნის ადგილას განცხადებას სამკვიდროს მიღების შესახებ. ამ მუხლის მესამე ნაწილის თანახმად კი ამ მუხლის მეორე ნაწილში აღნიშნული მოქმედებები შესრულებულ უნდა იქნეს ექვსი თვის განმავლობაში სამკვიდროს გახსნის დღიდან.

საქ. სსკ-ის 561-ე მუხლის თანახმად, თუ კანონისმიერმა ან ანდერძისმიერმა მემკვიდრემ სამკვიდრო არ მიიღო ან მას მემკვიდრეობის უფლება ჩამოერთვა ამ კოდექსის 543-ე და 546-ე მუხლების წესით, მაშინ მისი სამემკვიდრეო წილი მემკვიდრეებად მოწოდებულ დანარჩენ კანონისმიერ მემკვიდრეებზე გადადის და მათ შორის თანასწორად ნაწილდება. ამდენად, დარჩენილი სამკვიდრო ქონებიდან, რაც ანდერძისმიერ მემკვიდრეებს შორის უნდა გადანაწილებულიყო, ჩემი მარწმუნებლის სასარგებლოდ უნდა გადანაწილებულიყო დარჩენილი 1/3 წილის 2/3.

აპელანტის მითითებით, ანდერძისმიერ მემკვიდრეთა შორის მოხდა მთელი სამკვიდროს განაწილება შედგენილი ანდერძით და ანდერძის გარეთ სამკვიდრო ქონება არ დარჩენილა, რომელიც შეიძლებოდა კიდევ განაწილებულიყო კანონით მემკვიდრეებს შორის. სასამართლო სხდომაზე გამოცხადებულმა ვაზირა ისმაილოვმა ვერ დაადასტურა რომ სამკვიდროს კუთვნილი წილი რაიმე ფორმით მიიღო.

ამდენად, კუთვნილი წილები არ მიიღეს რა ვაზირა და გულჩორა ისმაილოვებმა (ამ უკანასკნელის მემკვიდრემ გულიზარ მგოიანმა), დარჩენილი სამკვიდროს 1/3 ნაწილის 2/3-ის შესაკუთრედ სასამართლოს უნდა ეცნო ჩემი მარწმუნებელი.

რაც შეეხება მამიკო (მამიკონა) ისმაილოვის წილს, რაც წარმოადგენს ანდერძით მემკვიდრეთა შორის გადასანაწილებელი წილის 1/3-ის 1/3-ს, ე.ი. 1/9-ს, მართალია მან, როგორც ძმის კანონისმიერმა მემკვიდრემ, მამკვიდრებლის გარდაცვალებიდან 6 თვის ვადაში, სანოტარო ბიუროში განცხადების შეტანით მიიღო კუთვნილი წილი და გახდა შესაკუთრე, მაგრამ მისი გარდაცვალების შემდეგ უკვე მისი წილის სამკვიდრო არ მიუღიათ მის პირველი რიგის კანონისმიერ მემკვიდრეებს, მათ შორის უფლებამონაცვლედ ცნობილ ანჟელა ისმაილოვს, რაც დასტურდება საქართველოს ნოტარიუსთა პალატის მიერ სასამართლოსათვის მოწოდებული ინფორმაციით, რომლის თანახმადაც ამ უკანასკნელს გარდა სადავო უძრავი ნივთის, არც სხვა რაიმე უძრავი ან უძრავი ქონება აღმოაჩნდა, რაც შეიძლებოდა ფაქტობრივი ფლობით მიეღოთ მის მემკვიდრეებს და რაც ფაქტობრივი ფლობით არ მიუღიათ, და არც განცხადებით მიუმართავთ ნოტარიუსისათვის მამკვიდრებლის გარდაცვალების ან სამკვიდრო ქონების ადგილსამყოფელის მიხედვით.

1964 წლის 26 დეკემბრის საქ. სსკ-ის რედაქციის 539-ე მუხლის თანახმად, მემკვიდრეობის გადასვლა ხდება კანონით ან ანდერძით. მემკვიდრეობის კანონისმიერი წესი მოქმედებს ყოველთვის, თუ ანდერძით სხვა რამ არ არის გათვალისწინებული.

ამავე კოდექსის 544-ე მუხლის პირველი ნაწილის თანახმად, მეორე რიგის მემკვიდრებად არიან გარდაცვლილის და-ძმები.

სამკვიდროს დამტოვებლის ძმისწულები და დისწულები ითვლებიან კანონისმიერ მემკვიდრეებად, თუ სამკვიდროს გახსნის დროისათვის ცოცხალი ალა რ იყო მათი მშობელი, რომელიც სამკვიდროს დამტოვებლის მემკვიდრე იქნებოდა.

მართალია მამიკო (მამიკონა) ისმაილოვს დარჩა პირველი რიგის მემკვიდრე, მაგრამ მან ვერ დაამტკიცა, რომ მამის დანაშთი სამკვიდრო მიღებული ქონდა.

დავაში მონაწილე მამიკო (მამიკონა) ისმაილოვის მეორე რიგის მემკვიდრეთაგან წარმოდგენილები იყვნენ ვაზირა ისმაილოვი, გულიზარი ისმაილოვი და ჩემი მარწმუნებელი მაია ისმაილოვი.

ვაზირა ისმაილოვმა და გულიზარ მგოიანმა ასევე ვერ დაადასტურეს, რომ ფაქტობრივი ფლობით ან სანოტარო ბიუროში განცხადების შეტანით მიღებული ჰქონდათ მამიკო (მამიკონა) ისმაილოვის დანაშთი სამკვიდრო, მდებარე ქ. თელავი კვირიკე დიდის ქ. №77-ში. აღნიშნული დაადასტურა მხოლოდ ჩემმა მარწმუნებელმა მაია ისმაილოვმა, რომელიც დღემდე სრულად ფლობს ზემოაღნიშნულ უძრავ ნივთს.

აპელანტის მითითებით, სასამართლომ არ გამოიყენა კანონი, რომელიც უნდა გამოეყენებინა, გამოიყენა კანონი, რომელიც არ უნდა გამოეყენებინა, გამოეყენებული განმარტა არასწორად, ამასთან, გადაწყვეტილება ამ ნაწილში იურიდიულად საკმარისად არაა დასაბუთებული და იმდენად არასრულია, რომ მისი სამართლებრივი საფუძვლიანობის შემოწმება შეუძლებელია, რის გამოც გადაწყვეტილება

გასაჩივრებულ ნაწილში უნდა გაუქმდეს და ჩემი მარწმუნებლის მოთხოვნა სრულად დაკმაყოფილდეს – ცნობილ იქნეს სადავო უძრავი ნივთის იმ 1/3 ნაწილის მესაკუთრედ, რაც თელავის რაიონულმა სასამართლომ მიიჩნია ანდერძისმიერ მემკვიდრეთა წილად.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე სასამართლომ იხელმძღვანელა საქართველოს საქართველოს სამოქალაქო საპროცესო კოდექსის 70-78-ე, 284-ე, 285-ე და 390-ე მუხლებით და

და ა დ გ ი ნ ა:

1. სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვევა განხორციელდეს საჯარო შეტყობინების ფორმით;
2. სააპელაციო საჩივრის ჩაბარება განხორციელდეს საჯარო შეტყობინების ფორმით;
3. სასამართლოს მთავარი სხდომა თბილისის სააპელაციო სასამართლოს სამოქალაქო საქმეთა პალატაში დანიშნულია 2011 წლის 18 მაისს 12:00 საათზე, რომელიც გაიმართება თბილისის სააპელაციო სასამართლოში (მდებარე: ქ. თბილისი გრ. რობაქიძის გამზ. №7^ა);
3. 2011 წლის 18 მაისს 12:00 საათზე დანიშნულ სასამართლოს მთავარ სხდომაზე მოწვეულ იქნეს განსახილველ საქმეში მოწინააღმდეგე მხარედ მითითებული გულიზარი მგოიანი;
4. სხდომაზე დასაბარებელი პირი გაფრთხილებულ იქნეს, რომ არასაპატიო მიზეზით გამოუცხადებლობის შემთხვევაში, შესაძლებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მის წინააღმდეგ;
5. მოწინააღმდეგე მხარეს დაევალოს 7 (შვიდი) დღის ვადაში წარმოადგინოს შესაგებელი სააპელაციო საჩივარზე საქართველოს იუსტიციის უმაღლესი საბჭოს მიერ დამტკიცებული ფორმის ნიმუშის შესაბამისად;
6. განემარტოს მოწინააღმდეგე მხარეს, რომ სასამართლოს მიერ დადგენილ ვადაში სააპელაციო პასუხის (შესაგებლის) არასაპატიო მიზეზით წარმოუდგენლობის შემთხვევაში, შესაძლებელია დაუსწრებელი გადაწყვეტილების გამოტანა მის წინააღმდეგ;
7. განჩინებაზე კერძო საჩივრის შეტანა არ დაიშვება.

მოსამართლე

გ. გიორგიშვილი